ასული თოდუას ბრისტი ქორწილი

~~240~~
239

987 1 239

987 1 239

16·01·2025

18.

მრავალმხრივი მეცნიერი და მოძღვარი

აკ. თოფურიას დაბადების 70 წლისთავის გამო

პროფესორმა აკაკი თოფურიამ პირველხარისხოვანი მონოგრაფიებითა და გამოკვლევებით გაამდიდრა ლიტერატურის ისტორია, თეორია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, ხოლო კრიტიკა შემოქმედებას გაუთანაბრა. მეცნიერის პოპულარობას, იშვიათ ნიჭიერებასთან ერთად, განაპირობებს „აზრის შემოქმედებითი გაბედულება, მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური ხელწერა“ (გიორგი ნატროშვილი).

აკაკი თოფურიას ნაწერებში მეცნიერული და პოეტური საწყისების ორგანული სინთეზირება, მხატვრულ-ლირიკული წიაღსვლები, მდიდარი ენა და ხატოვანი სტილი მისი „ადრეული, საინტერესო, მტკიცე და საიმედო პოეტური წარსულით“ აიხსნება.

მარტო ის, რაც აკაკი თოფურიამ ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარებისათვის გააკეთა, იკმარებდა დიდი მეცნიერის სახელის მოსაპოვებლად. მისი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ (გამოიცა ხუთჯერ 1957-1983 წ.), „ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია“ (1968 წ), „ლეო ქიაჩელის სწავლება საშუალო სკოლაში“ გამოიცა ორჯერ 1952-1956 წწ), „საეცსმინარიოს ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი“ ქართული მეთოდიკური მეცნიერების საეტაპო, ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომებია.

შემთხვევით როდი უწოდა აკად. გ. ჯიბლაძემ „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკას“ „სოლიდური მონოგრაფია“, მის ავტორს „ერუდიტი მეთოდისტი“. მონოგრაფია „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება“, ერთი მხრივ, მწერლის „საიდუმლოებით მოცულ, მხოლოდ თარიღების უსიანათლო ოთახებში გამოკეტილ ბიოგრაფიას“ სრულიად უცნობი მასალების გამოყენებით ახლებურ განათებას აძლევს, ბიოგრაფიული რომანის დონემდე მაღლდება, და ამასთან, ლეო ქიაჩელის შემოქმედების სრულყოფილი ანალიზიცაა. ფართო თვალსაწიერით, ქართულ-უცხოური მასშტაბებით, მდიდარი პარალელებით, მწერლის შემოქმედების ერთიანი სურათის შექმნით.

აკაკი თოფურიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ხუთ წიგნს გამოარჩევს სწორი მეთოდოლოგია, მაღალი ესთეტიკური გემოვნება, ფილოსოფიური სიღრმე, მეგრძოლი სული, ობიექტური გაგება და ჭარისტარქეს სათნოება. ანალიზის შაბლონური სტილის უკუგდებით, ორიგინალური თვალთახედვით იკვლევს აკ. თოფურია მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და შეუმცდარი ინტუიციით გაბედულად ავლენს ახალ სახელებს ჩვენს მწერლობაში.

აკ. თოფურია არ ეკუთვნის პიროვნებათა ისეთ კატეგორიას, რომელთა შესახებ სასხვათაშორისო აზრი არსებობს. მოღვაწეობასა და აზროვნებაში უკომპრომისო ადამიანს, ობიექტურობის მაძიებლები ერთსულოვნად მიიჩნევენ მეცნიერული ქვითკირსინდისიერების, წარმავალი რამეებით მოუსყიდავი, მებრძოლი მოქალაქეობის ეტალონად. აკ. თოფურიას თავისი მყარი, პოზიტიური კონცეფციები აქვს ყველაფერში და შეუძლებელია საქმოსნების, დილეტანტების მხარეზე მისი გადაბირება. ამიტომ არის მასთან ძნელი სადიპლომო ნამუშევრების შესრულება, მისი მომთხოვნელობის დონეზე დისერტაციის დაწერა, მისი მოსაწონი გაკვეთილების ჩატარება. ერთნაირად „უჭირს“ მასთან ურთიერთობა სტუდენტს, ასპირანტს თუ კოლეგას, რამდენჯერ არ დაეთანხმები, რამდენჯერ მოგვეჩვენება, რომ მთლად ისე არ არის, როგორც ბატონ აკაკის ჰგონია, ზოგჯერ სიჯიუტესა და ახირებულობასაც დასწამებ და მაინც... მხოლოდ მისი შემწეობით ფონს გასული იგრძნობ, რომ ყველაფერი საკითხის ასგზის გათვლა-განჭვრეტის შედეგი ყოფილა და რამდენი დაგაკლდებოდა, რომ მას ასეთი სიმკაცრე არ გამოეჩინა, რომ ასე არ „გაეწამებინე“ და ურჩი შვილივით რომ გულს ტკენდი, ეს გაგაწითლებს ბოლოს. იგი ახალგაზრდებს ერთადერთ და შეუმცდარ გზას აძებნინებს, ყველაფერში მისეული რუბიკონი აქვს და ვინც მას გადალახავს, გამარჯვებაც გარანტირებულია.

აკ. თოფურიას გამოარჩევს გასაოცარი სიახლის გრძნობა, ერისა და ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრების შუაგულშია ყოველთვის, მის დისპუტებსა და გამოსვლებს დღემდე შერჩა შეუვალი ლოგიკა, მოუღლელი პათოსი, ფანატიკური ერთგულება ობიექტურობისა, და რაც ყველაზე მთავარია, იგი არასოდეს არის სიტყვით სხვა და საქმით სხვა, მისთვის უცხოა „მე არ მეხება“ — გულგრილთა პრინციპი. დროის, გულითადობის, გულწრფელობის უმძარისობით უჭირს უმეტესად ჩვენს გაფაციცებულ ეპოქას და რამდენად დასაფასებელია, რომ ამდენ სფეროში მოღვაწე მეცნიერი ყოველთვის პოულობს სხვისთვის დროს, სითბოს, ყოველთვის აღმოაჩნდება სხვისთვის ხელისშეშველების უნარი.

ამ სტრიქონების ავტორს ახსოვს ბატონ აკაკის მზუნველობა ისეთ შრომებზე, რომელთა ოფიციალურ ხელმძღვანელად ან რეცენზენტად იგი არ ითვლებოდა, მაგრამ რამდენ აზრთა მდინარებას დასაბამი მისგან დადებია, რამდენჯერ ახალი ასპექტით პრობლემის გაცნობიერების სტიმული ყოფილა.

როგორ ვირდება ჩვენს დროს ის სიმართლე, ის გადამდები ცეცხლი, კეთილი სიბრძნე, ზნეობრივი იდეალი, რომლის გაუხუნარი სახე იყო და არის ბატონი აკაკი.

აკ. თოფურია ცნობილია, როგორც შეუდარებელი მეთოდისტი-მეცნიერი და სტუდენტთა უზადო ზნეობრივი მოძღვარი. იგი მასწავლებლისაგან ერთდროულად მოითხოვს „გულისა და გონების ძალას“, გაკვეთილებზე მხოლოდ პედანტურ სისწორეს კი არ ეძებს, წვას, ძიებას, მოწოდებას, შემოქმედებით მიდგომას საქმისადმი. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ხშირად გაუკენწლავს უსულგულოთა „უშეცდომო“ გაკვეთილები (არ მორიდებია მშობლების ავტორიტეტსაც), პედაგოგობისათვის მოწოდებული პრაქტიკანტებისათვის კი ხშირად უპატიებია დაბნეულობა, ჭარბი განცდებით გამოწვეული უზუსტობა და მისი გულმოდგინების, გაგების გზით სტუდენტები ხშირად მიახლოებიან ბატონ აკაკის იდეალს იღური სიღრმითაც და ცეცხლოვანებითაც. მან გვასწავლა ადამიანთა ურთიერთობის უშესანიშნავი ფორმის — მასწავლებლისა და მოსწავლის, შეგირდისა და ოსტატის ერთდროული თაყვანისცემის მშვენიერებასა და სიკეთეს.

გვახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა პედაგოგიური პრაქტიკიდან. ერთი ცნობილი პოეტის ქალიშვილმა ჩაატარა გაკვეთილი, რომელშიც თითქმის ყველაფერი წესრიგში იყო, დაცული იყო ყველა მომენტი, არ დაუშვია არცერთი შეცდომა, მაგრამ არ ჰქონდა ის მოწოდება, რაც აუცილებელია პედაგოგისათვის და ბატონმა აკაკიმ ამ სიცივის გამო მას მაღალი ნიშანი არ დაუწერა, მახსოვს, სამინლად წუხდა, რომ პრაქტიკანტში ვერ აღმოაჩინა ის მარცვალი, რომელსაც მეცნიერი-მეთოდისტი ელოლიავებოდა და ხუმრობით დაახლოებით ასეთი ექსპრომტი შეუთხზა: „უსულგულოდ, უგულგულოდ გაკვეთილი ჩაატარა“. ბატონ აკაკის არ შეეძლო ლიბერალიზმის დამვება იმ ურთულესი პროფესიის მიმართ, პედაგოგობა რომ ჰქვია.

მეხსიერებას შემორჩა სპორისპირო მაგალითიც: ერთი საუკეთესო სტუდენტი პრაქტიკის დროს გაკვეთილზე ისე დაიბნა, რომ გაწყვეტილი აზროვნების ძაფი ვერაფრით აღადგინა და იძულებული გახდა ახალი გაკვეთილის ახსნის დროს ტირილით დაეტოვებინა კათედრა. ყველა ელოდა, რომ იგი ორიანს და ბატონ აკაკის რისხვას ვერ აიცდენდა, მაგრამ არა, ჩვენმა უმკაცრესმა მოძღვარმა მხოლოდ სულგრძელობა, ლმობიერება და გაგება შეაშველა უნებურად დამარცხებულს, კი არ გაკიცხა, გაამხნევა, რწმენა ჩაუნერგა და მოხდა სასწაული: მისი შემდეგი გაკვეთილი პრაქტიკის ხელმძღვანელის მოთხოვნის დონეზე ჩატარდა და უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა. ახლა ჩვენი თანაკურსელი პარმატებით მასწავლებლობს ქუთაისში და, ვფიქრობთ, სწორი არჩევანის გაკეთებაში გადამწყვეტი იყო ბატონ აკაკის სტიმული. მისი სითბო და გულისხმიერება გვავიწყებდა დაძაბულობას, მოსწავლეებთან შეხვედრის წინ არასოდეს გვეფუშტებდა განწყობას, თუნდაც რამე დაგვეშავებინა, წინ წამოსწევდა ჩვენს ოდნავ ღირსებასაც კი, ავანსად გაცემული ნდობა კი გვავალდებულებდა, გვეძებნა შესაბამისი გზები.

აკაკი თოფურიას გზა ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი. მეცნიერული სიახლის ძნელადსავალ გზაზე მას ხელმოცარულთა გაბოროტებაც, ჩუმი თუ აშკარა ინტრიგებიც უწევდა, მეცნიერულ მოკამათეთა ნაცვლად ცილისმწამებელთა პირისპირაც აღმოჩენილა, მაგრამ მისი დასაბუთებული ლოგიკისაგან ქვა ქვაზე არ დარჩენილა, როგორც იტყვიან.

აკ. თოფურიას მრავალი ომი გადაუხდია მეცნიერებაში და ყოველთვის გამარჯვება იყო მისი მეგზური.

მთელი მისი ძალა სულისა ერის უმწიკვლო სამსახურისკენ იყო მიმართული, რაც პირადულ სატკივარსაც ავიწყებდა. მის ნათელ მისწრაფებებს არა-სოდეს ამღვრევდა ეგოიზმი, ანგარება და შეცდომები. სინდისის ჭნჯნის გაორებისაგან იმთავითვე რომ იყო დაზღვეული, ეს განაპირობებდა მეცნიერის ნაყოფიერებას, მის ნაწერებში ზნეობრივი იდეალის წინ წამოწევას.

კონსტანტინე გამსახურდია ამბობს: დაე, ყოველმა მწერალმა მხოლოდ ის დაწეროს, რისთვისაც ხმლის მოქნევას შესძლებსო.

ერისადმი მსახურების უმთავრესი გზა აკაკი თოფურიასთვის სიტყვა იყო, მაგრამ მან საქმითაც უურთგულა ხალხს, როცა სამშობლოს იარაღით დაცვა გახდა საჭირო. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან დამთავრებამდე იმყოფებოდა სამშობლოს დამცველთა რიგებში, რამაც მრავალი საგულისხმო შტრიხი შემატა მრავალწახნაგა მეცნიერის ბიოგრაფიას. მას მიღებული აქვს საბრძოლო ორდენები და მედლები.

აკ. თოფურია აფხაზეთის ინტელიგენციის დიდი მეგობარია. იგი პატივისცემით ეხმაურება მოძმე აფხაზეთის ლიტერატურულ სიახლეებს.

მთავრობის მიერ მეცნიერის დაფასების გამოხატულებაა მისი დაჯილდოება გოგებაშვილის სახელობის მედლით, იაკობ გოგებაშვილის სახელობისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიები, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭება.

სიბრძნის გზაზე მავალ ამაგდარს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

ლუარა სორდია,
აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

ლიტერატურული საქართველო, 1986, 20/ვ, №59

დანაგვიანებას ურიგდებით?!—პასუხიც უნდა აგოთ!

ვიდრე გაზაფხული დადგებოდა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე ქალაქის სანეპიდსადგურისა და გაზეთ „ახალი კოლხეთის“ სარეიდო ჯგუფი რეგულარულად ახდენდნენ შემოვლებს სანიტარული მდგომარეობის შესასწავლად, ზრუნავდნენ გამოვლინებული ხარვეზების გამოსასწორებლად შესაბამისი ორგანიზაციების მხრივ ოპერატიული ღონისძიებების გატარებისათვის.

ცხადია, ამას გარკვეული დადებითი შედეგიც მოჰყვა. მაგრამ ეს, როგორც იტყვიან ხოლმე, ზღვაში წვეთია. გაკეთებული იმდენად ცოტაა, რომ სათქმელადაც კი ჭირს. ალბათ, დაგებადათ კითხვა, რატომ მოხდა ასე და ვინ რა ხელი დააკლო ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის წარმატებულ მსვლელობას?

სწორედ ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გასაცემად 17 მაისს დღისით კვლავ მოვინახულეთ ქალაქის სხვადასხვა კუთხე-ადგილები, რომელთაც ადრინდელ შემოწმებებზე საკმაოდ ბევრი შენიშვნა მიეცათ და განსაზღვრათ კიდეც მისი მოწესრიგების ვადები. სამწუხაროდ, მეტმა ნაწილმა მისდამი გულგრილობა და აშკარა უპასუხისმგებლობა გამოიჩინა. ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას იძლევა ის ადგილები, რომლებიც კვლავ დანაგვიანებული და მოუწესრიგებელი ვნახეთ.

არც წერილობითმა კრიტიკამ და არც ფოტობრალდებამ არ უშველა რუსთაველისა და მახარაძის ქუჩების გადაკვეთაზე ორსართულიანი საუწყებო სახლის ეზოს. აქ თითქმის არავითარი სამუშაო არ ჩაუტარებიათ. ეზოში მიმოფანტულია სხვადასხვა სახის ნაგავი. წყლის ორმო სისტემატურად ივსება და დაბინძურებული წყალი გადმოდის. მას უვარგისი თუნუქის ფურცელი ახურავს. ეზოს ჭიშკარი არ იკეტება.

ამ სახლის და, რა თქმა უნდა, ეზოს წილნაყარი მეპატრონეებია ტექნიკური ზედამხედველობის, საპროექტო ჯგუფის, ტროლეიბუსების სამმართველოს, ვაჭრობისა და საზკვების სამმართველოს კოლექტივები (ხელმძღვანელები — ა. ჯობავა, გ. კორშია, ჯ. ფარცვანია, ზ. კაპანაძე), რომლებიც მოვალენი იყვნენ მოეწყოთ რამდენიმე შაბათობა და წესრიგში მოეყვანათ იგი.

საოკეანო თევზჭერის სამმართველოს № 1 სამაქროდან ნაგვის მთელი გროვა მიც გვერდზე არხებულ ხეივანშია დაყრილი. ამაზე სამაქროს უფროსს ჟ. ადამიას 15 მაისს მიეცა კატეგორიული წინადადება, მაგრამ მან არაფრად ჩაგდო იგი და ახლანდელ შემოვლაზე ისე უცვლელი დაგვხვდა.

კვლავ დანაგვიანებული იყო ბაგრატიონის ქუჩის დასაწყისი მატროსთა კლუბის წინ, სტალინის სანაპიროზე № 12 სახლის გვერდით მდებარე სამშენებლო მოედანი, რკინიგზის სადგურის ის მონაკვეთი სადაც განლაგებულია სასადილო, ქართული პურის საცხობი, ბინათმმართველობის საქვაბე. აქ ფორმალურად დაუდგამთ ორი რკინის სანაგვე უთი, რადგან ნაგავი და ხარახურა ორგვლივ უთავბოლოდ ყრია. ჩანს, სადგურის ხელმძღვანელობა, პირველ რიგში კი ბინათმმართველობა (უფროსი ჯ. ქირია), ამას ურიგდება.

დანაგვიანებულია ჟდანოვის ქუჩის მონაკვეთი ზღვისპირა ბოლო ქალაქის სანდასუფთავების სპეცგარაჟის მისასვლელი გზის მარჯვენა მხარეზე დაგროვილი ნაგავი დაუმარხავი და დაუწვავია.

ყოველივე ამის შემდეგ მკაცრად უნდა ითქვას, რომ ქალაქის სანიმუშო სანიტარული იერსახისათვის ზრუნვა ჯერ კიდევ არ არის გადაქცეული საერთო ზრუნვის საქმედ. ვინც ამაში თავისი პირადი წვლილის, აქტიური მონაწილეობის მის ას განზე უდგას, უგულვებელყოფს იგი ქალაქის ნამდვილ პატრიოტად ვერ ჩაითვლება და მას სათანადო პასუხიც უნდა მოეთხოვოს.

გ. ბერძენიშვილი,
ქალაქის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.

ჯ. კობახიძე,
გაზეთ „ახალი კოლხეთის“ რედაქციის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე.

ერთთვიური

კავშირგაბმულობის ხაზების დათვალიერება

საკავშირო მაგისტრალური კავშირგაბმულობისა და ტელეხედვის № 4 გაერთიანებული საკაბელო უბანი მიმდინარე წლის 1 მაისიდან 31 მაისამდე ატარებს კავშირგაბმულობის ხაზების დაცვის ერთთვიურს.

ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელ ე ბ ი, აგრეთვე ნაკვეთების მფლობელები ვალდებულნი არიან მიწის სამუშაოების დაწყებამდე გაარკვიონ მიწისქვეშა კომუნიკაციების ადგილმდებარეობა.

მიწისქვეშა კომუნიკაციების დასადგენად უნდა მიმართოთ საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომებს, რომლებიც გასცემენ სამუშაოთა ჩატარების სპეციალურ ორდერებს, ამასთან სამუშაოთა წარმოების ადგილზე სამი დღით ადრე გამომახებული უნდა იქნეს საკაბელო მეურნეობის წარმომადგენელი.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, რომლებიც ახორციელებენ გეოლოგიურ, საძიებო ასაფეთქებელ და სხვა სახის სამუშაოებს, წინასწარ უნდა შეუთანხმდნენ კავშირგაბმულობის საწარმოებს და დანიშნონ სამუშაოს დაწყების დრო და ადგილი.

სამუშაოთა დაწყების წინ სათანადო ორგანიზაციები ყურადღებით უნდა გაეცნონ საპროექტო დოკუმენტებს, ნახაზებს და კავშირგაბმულობის საწარმოსთან შეთანხმებით პირობებს.

გვახსოვდეს, მაგისტრალური კავშირგაბმულობის ხაზების დაზიანება იწვევს მნიშვნელოვანი კავშირების შეწყვეტას, რაც დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას, ხოლო დამნაშავე პირები ისჯებიან ადმინისტრაციული წესით.

შ. ძოგაძია,
საკავშირო მაგისტრალური კავშირგაბმულობის და ტელეხედვის № 4 გაერთიანებული საკაბელო უბნის უფროსი.

ყურადღება, კავშირგაბმულობის კაბელია!

კავშირგაბმულობის მიწისქვეშა კაბელის ხაზების დაზიანება იწვევს სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის გადაცემების ხანგრძლივ შეწყვეტას. გარდა ამისა, ის საშიშია სიცოცხლისათვის, რადგან კავშირგაბმულობის კაბელი იმყოფება მაღალი ძაბვის ქვეშ.

სამშენებლო ორგანიზაციებისა და სახანაო-კომუნალური კანტორების ხელმძღვანელებს გახსოვდეთ, რომ მიწის სამუშაოების შესრულება შეიძლება მხოლოდ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ნებართვით.

ვიდრე სამუშაოს დავიწყებდეთ, საჭიროა სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში გაერკვეოთ, გადის თუ არა კავშირგაბმულობის კაბელი იმ ადგილას და ვის ეკუთვნის ის (საკავშირო მაგისტრალური კავშირგაბმულობისა და ტელეხედვის № 4 ტექნიკური კვანძს (ტუსმ-4) თუ კავშირგაბმულობის სხვა საწარმოებს).

მიწისქვეშა კაბელების ქსელის არსებობის დროს სამუშაოები უნდა შეუთანხმოთ კავშირგაბმულობის საწარმოებს, რომლებიც აყენებენ მათ, ხოლო სამუშაოს დაწყებამდე სამი დღით ადრე გამოძახებული უნდა იქნეს კავშირგაბმულობის საკაბელო სამსახურის წარმომადგენელი და სამუშაო შესრულდეს მხოლოდ მისი დასწრებით.

ამხანაგო სამუშაოთა მწარმოებლებო, ოსტატებო, მექანიკოსებო, მებულდოზერეებო და მემანქანეებო, რომლებიც მუშაობთ სხვადასხვაგვარ მიწისსათხრელ მანქანებზე! ნუ დაიწყებთ, რომ კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზების დაცულ ზონაში აკრძალულია მიწის სამუშაოები შექანიზებული საშუალებებით, რადგან მან შეიძლება დააზიანოს სატელეფონო კავშირი.

დაიცავით „კავშირგაბმულობის ხაზების დაცვის წესები!“

კავშირგაბმულობის ხაზების დაცვის დარგში დამნაშავენი გადაცემული იქნებიან ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ჩვენი მისამართი: გაერთიანებული საკაბელო უბანი № 4, ქ. ზუგდიდი, კრილოვის პირველი შესახვევი № 30, ტელ. 36-65, 36-94.

საკავშირო მაგისტრალური კავშირგაბმულობისა და ტელეხედვის საკავშირო მაგისტრალების № 4 ტექნიკური კვანძის მისამართია: ქ. სოხუმი, 1 მდინარისიქითა შესახვევი № 3, ტელეფონი — 2-59-37, 2-68-48, 2-18-06, 2-39-92.

ჩვენი მისამართი: 384695 ფოთი, ჟდანოვის ქ. № 52, „ახალი კოლხეთი“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა პოლიგრაფიის და წიგნის ვაჭრობის საქმეთა